საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 7 18 00049/56

13/09/2018

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი“-ს დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „გ“, “დ“ და „ე“ ქვეპუნქტების და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ი" და "რ" ქვეპუქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინსპექტირების სამმართველოს.
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მისამართზე: ქ.თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. №10.

მარიანა მორგოშია
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
სააგენტოს დირექტორი